საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990144942274023

№17/4092 **25 / ოქტომბერი / 2023 წ.**

შპს "ჯორჯიან როუდ მატერიალს"ის მინდობილ
პირს, ბატონ დავით კალოევ-დოლბაძეს
მის:საგარეჯო.სოფელი
ხაშმი;.თბილისიბაკურციხე-ლაგოდეხის 36-ე კმ.
ელ.ფოსტა:kaloevdolbadze@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 24 ოქტომბრის #6646 განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაშმში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 55.15.59.000.006) სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას და საპროექტო ტერიტორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ტერიტორია (ს/კ 55.15.59.000.006) არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის არეალში, შესაბამისად მასზე არ მოქმედებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებული რეგულაციები..

აქვე გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (აღნიშნული უფლებამოსილება დელეგირებულია სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოზე) დადებითი დასკვნის საფუძველზე. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სამინისტროს (სააგენტოს) დასკვნის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (მუხლი 14) დოკუმენტაცია ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის და ძეგლზე სავარაუდო ზემოქმედების შესახებ.

პატივისცემით

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი